პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 8 (11012)
შაბათი
11
იანვარი
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ დუაიტ დ. ეიზენჰაუერისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ჰ. მაკმილანისადმი (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხებზე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ (მე-2 გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ (მე-2 გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და [illegible] ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის [illegible] დაჯილდოების შესახებ (მე-2 გვერდი).

შევქმნათ სოფლად მსხვილი ავტომეურნეობები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცხოველეობამ 1957 წელს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში. წველადობის წლიური გეგმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ვაფაზე ერთი თვით ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს. სამუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღეს 962 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამისა.

საკოლმეურნეო სოფლებში მტკიცედ ინერგება მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევები. ამის შედეგად აღიზარდნენ მეცხოველეობის საქმის ნამდვილი ოსტატები, რომლებიც პირუტყვის კარგი კვებით, წესიერი მოვლითა და შენახვით დიდად აჭარბებენ წველადობის გეგმიურ დავალებას. გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ფ. გამჯაშვილმა მოსავლელად მიჩენილი 10 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მიიღო 4.326 კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.560 კილოგრამისა. მეცხოველეობაში წველადობის გადიდების საქმეში ასევე ნაყოფიერად იმუშავეს მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის კოლმეურნეობის წევრმა ს. მიქაძემ, მესტიის რაიონის სოფელ მესტიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნ. მარგიანმა, დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის წევრმა ნ. სეთურიძემ და სხვებმა.

წველადობის გადიდების საქმეში მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება საგულისხმო მაგალითია ჩვენი რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის. ცნობილია, რომ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება შეუძლებელია, თუ პირუტყვს უხვად არ ვკვებავთ წვნიანი, უხეში და კონცენტრირებული საკვებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ზამთარში, როცა პირუტყვი გადაყვანილია ბაგურ კვებაზე, პირველი დღეებიდანვე მტკიცედ უნდა ვიცავდეთ სრულფასოვანი კვების რაციონს. ამისათვის საჭიროა დროზე მოვიმარაგოთ ყველა სახის საკვები.

რას გვასწავლის მოწინავე მეცხოველეთა მუშაობის გამოცდილება? უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ჩვენს რესპუბლიკას აუარაცხელი რეზერვები მოეპოვება მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონში ამ რეზერვებსა და შესაძლებლობას ცუდად იყენებენ. განა სამარცხვინო არ არის, რომ მაიაკოვსკის რაიონმა 1957 წელს საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე 603 კილოგრამი რძე მიიღო? გეგმით გათვალისწინებული იყო 700 კილოგრამი. წველადობის გეგმა ვერ შეასრულეს აგრეთვე კასპის, გუდაუთის, ჯავის, თეთრიწყაროს, ზესტაფონის, ქედის, ჭიათურის, შუახევის და სხვა რაიონებმა. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ საქმის ცოდნით ვერ ხელმძღვანელობენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება საქმეს, საფუძვლიანად არ სწავლობენ თერმებში წველადობის შემცირების მიზეზებს, ქმედითად არ იღებენ ზომებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პირუტყვის გამოზამთრება მეტად პასუხსაგები პერიოდია მეცხოველეობაში. ახლა პირუტყვი უნდა გადავიყვანოთ ბაგურ კვებაზე. ამისათვის მთავარია ვიქონიოთ წვნიანი, უხეში და კონცენტრირებული საკვების საკმაო მარაგი. საჭიროა სასწრაფოდ შემოწმდეს მარაგი, და იქ, სადაც იგი საკმაო არ არის, მოეწყოს საერთო-საკოლმეურნეო ურთიერთდახმარება. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონში. აქ 1957 წელს უხეში საკვების დაგროვების გეგმა შეასრულეს მხოლოდ 90,1 პროცენტით, ასევე არ შეუსრულებიათ საკვების დასილოსების დავალება. ცუდად იმუშავეს აგრეთვე ახალქალაქის, გარეუბნისა და ჩხოროწყუს რაიონებმა.

ზოგან დაივიწყეს, რომ პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის საჭიროა ცხოველს მთელ ზამთარში ნოყიერ საკვებს ვარდა ჰქონდეს თბილი, სუფთა და ნათელი ბინა. მაგალითად, აბაშის რაიონის პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დაავიწყდათ, რომ პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრება მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის მნიშვნელოვანი პირობაა. აქ მეწველ ძროხებს ღია ცის ქვეშ ამყოფებენ. ვანის რაიონის სოფელ მიქელეფონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში პირუტყვის სადგომების გადახურვა გააჭიანურეს. პირუტყვს ცუდად აზამთრებენ აგრეთვე წულუკიძის რაიონის წულუკიძის სახელობის, წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის ლენინის სახელობის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში. ცხადია, ასეთ პირობებში პირუტყვის პროდუქტიულობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სოფლის მეურნეობის ამ დარგს ჯერ კიდევ ვერ ხელმძღვანელობენ საქმის ცოდხით, წარმოებაში არადამაკმაყოფილებლად ნერგავენ მეცნიერების მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებას, მეცხოველეობის ნოვატორთა მუშაობის მეთოდებს. ამ საკითხზე სერიოზულად, ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების სამმართველოსა და საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკები.

არ არსებობს იმაზე საპატიო საქმე, ვიდრე საკუთარი შრომით ეხმარებოდე პარტიასა და მთავრობას დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში. ამიტომ იყო, რომ მეცხოველეობის მუშაკებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებში დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი შემცირების შესახებ. ახლა, როცა დიდი პოლიტიკური და სამეურნეო აქტივობით მიმდინარეობს საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება, უფრო ფართოდ უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება. მეცხოველეობის მუშაკებმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე რიტმულად უნდა იმუშაონ, განუხრელად ზარდონ შრომის ნაყოფიერება, სანიმუშოდ მოაწყონ პირუტყვის გამოზამთრება და ენერგიულად იბრძოლონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული პროგრამის განსახორციელებლად, — სამშობლოს მისცენ მეცხოველეობის მეტი პროდუქტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ დუაიტ დ. ეიზენჰაუერისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ჰ. მაკმილანისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერს და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰ. მაკმილანს გაუგზავნა წერილები იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოების, აგრეთვე ზოგიერთი იმ ქვეყნის ხელმძღვანელ მოღვაწეთა თათბირი, რომლებიც სახელმწიფოთა ხსენებულ დაჯგუფებებში არ შედიან.

წერილში, რომელიც სსრ კავშირის საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 9 იანვარს ჩაბარა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისათვის გადასაცემად, ნ. ა. ბულგანინი მოგაგონებს საბჭოთა მთავრობის მოსაზრებებს, რომლებიც მან ჩამოაყალიბა თავის წინა, 10 დეკემბრის წერილში საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად და საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად სახელმწიფოთა შესაძლო თავდაპირველი ნაბიჯების შესახებ, აგრეთვე წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1957 წლის 21 დეკემბრის დადგენილება.

ამ წერილთან ერთად ნ. ა. ბულგანინმა გაგზავნა საბჭოთა მთავრობის წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხებზე, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ უახლოეს 2-3 თვეში მოწვეულ იქნას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოების, აგრეთვე ზოგიერთი იმ ქვეყნის ხელმძღვანელ მოღვაწეთა თათბირი, რომელნიც სახელმწიფოთა ხსენებულ დაჯგუფებებში არ შედიან.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანისადმი წერილში, რომელიც სსრ კავშირის ელჩმა 9 იანვარს გადასცა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნ. ა. ბულგანინი მოაგონებს საბჭოთა მთავრობის მოსაზრებებს, რაც ჩამოყალიბებული იყო ამასწინანდელ წერილში და რაც ეხება საერთაშორისო მოვლენების ისეთი განვითარების მიზეზებს, რომელიც საშიშია მშვიდობის საქმისათვის, აგრეთვე გარკვეულ წინადადებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

დასასრულ, ნ. ა. ბულგანინი გამოთქვამს რწმენას, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა, რომელსაც აქვს ატომური იარაღი და სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია მშვიდობის ბედისათვის, დადებითად მოეკიდება საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებას თათბირის მოწვევისა და მისი ამოცანების შესახებ და აცნობებს საბჭოთა მთავრობას თავის მოსაზრებებს ამ საკითხზე.

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხებზე

თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, ნათქვამია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, ახასიათებს, ერთი მხრივ „ცივი ომის“ განგრძობა, გაძლიერებული გამალებული შეიარაღება, განსაკუთრებით ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების დარგში, და პირდაპირი საფრთხე საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის, მეორე მხრივ, მას ახასიათებს იმ ძალების გიგანტური ზრდა, რომლებიც მშვიდობისა და უშიშროებისათვის იბრძვიან.

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში, სავსებით იზიარებს მთელ რიგ მთავრობათა აზრს, აგრეთვე ფართო საერთაშორისო საზოგადოებრივი წრეების სულ უფრო მზარდ მოთხოვნას, რომ ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების მიზნების შესაბამისი იქნებოდა სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირის მოწვევა მაღალ დონეზე. ასეთი თათბირი შეძლებდა გამოენახა იმ პრობლემების მოწესრიგების ეფექტიანი გზები, რომლებიც ღრმად აღელვებს ყველა ხალხს, და შეექმნა, საჭირო გარდატეხა საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში.

რა თქმა უნდა, საქმე ეხება არა ამა თუ იმ სოციალურ სისტემებს შორის ძირეული განსხვავების საკითხებს, არა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის განსხვავებას, არა სახელმწიფოთა შორის იდეოლოგიურ განსხვავებას. ასეთი საკითხები თვითეული ხალხის საშინაო საქმეა, და ისინი არ შეიძლება გახდნენ საერთაშორისო მოლაპარაკების ობიექტი. საქმე ეხება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების გზით მათი ურთიერთ ინტერესების გათვალისწინებით.

საბჭოთა მთავრობას შეაქვს წინადადება — 1958 წლის უახლოესი ორი-სამი თვის განმავლობაში მოეწყოს სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების თათბირი მაღალ დონეზე მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით. თათბირზე პირველ რიგში შეიძლება განხილულ იქნას საკითხები, რომელთა მოწესრიგება ხალხების მისწრაფებათა შესაბამისი და საერთაშორისო ვითარების ძირეული შეცვლისა და „ცივი ომის“ შეწყვეტის საქმეში დიდნაშვნელოვანი თაოსნობა იქნებოდა.

თათბირზე საჭირო იქნებოდა განხილვა წინადადებისა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ 2-3 წლით მაინც. ასეთი ნაბიჯის საჭიროება ცხადია. ატომური და წყალბადის ბომბების საცდელ აფეთქებათა შეწყვეტა შეაჩერებდა სულ უფრო დამსგრეველი და მომაკვდინებელი იარაღის ნიმუშების შექმნას.

რა თქმა უნდა, ნათქვამია შემდეგ, თათბირზე შეიქმნებოდა შესაძლებლობა აზრთა გაზიარებისა განიარაღების პრობლემის ზოგიერთი სხვა ასპექტზეც, მით უმეტეს, რომ მოლაპარაკება განიარაღების საკითხებზე ამჟამად შეწყვეტილია და ჯერჯერობით არ არის პირობები მისი განახლებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში.

ატომური და წყალბადის იარაღის, როგორც მასობრივი მოსპობის იმ იარაღის აკრძალვის ამოცანა, რომლის გამოყენება არ შეესაბამება ცივილიზებული კაცობრიობის სინდისს, სულ უფრო გადაუდებელი ხდება. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ მუდამ ისწრაფვის მიაღწიოს შეთანხმებას ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან მის გამოყენებაზე უარის თქმის საკითხზე. ყველა სახელმწიფოს მიერ, რომლებსაც ატომური და წყალბადის იარაღი აქვთ, ასეთი ვალდებულების მიღებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ნდობის დამყარებისა და ატომური ომის წინაშე შიშისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის.

ბევრი ქვეყნის, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნების, მთავრობებისა და ფართო საზოგადოებრივი წრეების ყურადღებას, აღნიშნულია დოკუმენტში, იპყრობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადება, რომ ევროპის ცენტრალურ ნაწილში შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა. როგორც ცნობილია, ეს წინადადება ითვალისწინებს, რომ პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ დაუშვებენ თავიანთ ტერიტორიაზე რაიმე სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის განლაგებას და უარს იტყვიან მის წარმოებაზე.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამჟამად არის იმის საჭირო წანამძღვრები, რომ წინადადება ცენტრალურ ევროპაში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ, თავდაპირველად თუნდაც ოთხი ქვეყნის შემადგენლობით, გახდეს სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების თათბირზე გადაუდებელი განხილვის საგანი.

„ცივი ომის“ და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა, აღნიშნულია დოკუმენტში, რომ თათბირზე განიხილონ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრ სახელმწიფოთა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავდაუსხმელობის შესახებ ამა თუ იმ ფორმით შეთანხმების დადების საკითხი. ითვალისწინებს რა ასეთი ნაბიჯის დიდ მნიშვნელობას, საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სხვა ქვეყანას, არაერთგზის განუცხადებია, რომ მზად არის დადოს ასეთი მრავალმხრივი შეთანხმება.

ძნელია იმის უარყოფა, ნათქვამია შემდეგ, რომ ევროპაში, და არა მარტო ევროპაში, გაჯანსაღების მიღწევისათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს გერმანიის ტერიტორიაზე, აგრეთვე როგორც ნატოს, ისე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე უცხოეთის ჯარების რიცხვის შემცირებას, და მით უმეტეს ამ ჯარების სრულ გაყვანას. ითვალისწინებს რა, რომ შეთანხმება აღნიშნულ სახელმწიფოთა ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების სრული გაყვანის შესახებ, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, სერიოზულ სიძნელეებს აწყდება, საბჭოთა მთავრობის აზრით, საჭირო ხდება დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმება თუნდაც იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე, ანდა თავდაპირველად გერმანიის ტერიტორიაზე მაინც, მოხდეს მათი ჯარების რიცხვის შენცირება.

არ შეიძლება ამოწურულად მივიჩნიოთ აგრეთვე შესაძლებლობანი შეთანხმების მიღწევისა იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია უეცარი თავდასხმის თავიდან აცილებასთან, და განიარაღების ჯარგნი ნაბიჯების ხასიათის შესაბამისი კონტროლის სათანადო საკითხებზე, რომლებზეც უკვე უახლოეს ხანში შეიძლებოდა მიგვეღწია შეთანხმებისათვის, თუ დაინტერესებული სახელმწიფოები ესწრაფვიან ამას.

ამასთან დაკავშირებით, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, საჭირო ხდება განხილულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებანი, სახელდობრ: საკონტროლო საგუშაგოების დაწესება რკინიგზის კვანძებზე, დიდ ნავსადგურებში და ავტომაგისტრალებზე, რათა ხელი შეეშალოს ჯარებისა და სამხედრო ტექნიკის ფარულ კონცენტრაციას, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ასეთი უეცარი თავდასხმის მოსამზადებლად. იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რასაც ზოგიერთი მთავრობა ანიჭებს სახელმწიფოთა ტერიტორიის აეროფოტოგადაღების განხორციელებას, განცხადებაში წამოყენებულია წინადადება აეროფოტოგადაღების 800-კილომეტრიანი ზონის დაწესების შესახებ იმ ხაზის ორივე მხარეზე, რომელიც ჰყოფს ევროპაში პირისპირ მდგომ სამხედრო დაჯგუფებებს. იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიის ტერიტორიაზე არის მშვიდობიანი დროისათვის შეიარაღებული ძალებისა და საომარი ტექნიკის არანორმალური თავმოყრა და, რომ სახელმწიფოთა მთავარი სამხედრო დაჯგუფებების არმიები აქ უშუალოდ ერთმანეთის პირდაპირ დგანან, მიზანშეწონილია შეთანხმება შესაბამის სახელმწიფოთა შორის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩათვლით, იმის შესახებ, რომ გერმანიის ტერიტორიაზე განხორციელდეს იმ ღონისძიებებისადმი კონტროლის უფრო ფართო ფორმებიც, რომლებზეც უკვე ახლა არის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა. ასეთი ღონისძიებანი შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, გერმანიის ორივე ნაწილის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების რიცხვის შენცირება, ნოტა ევროპის ქვეყნების, მთავრობებისა და ფართო საზოგადოებრივი წრეების ყურადღებას, აღნიშნულია დოკუმენტში, იპყრობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადება, რომ ევროპის ცენტრალურ ნაწილში შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა. როგორც ცნობილია, ეს წინადადება ითვალისწინებს, რომ პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ დაუშვებენ თავიანთ ტერიტორიაზე რაიმე სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის განლაგებას და უარს იტყვიან მის წარმოებაზე.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამჟამად არის იმის საჭირო წანამძღვრები, რომ წინადადება ცენტრალურ ევროპაში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ, თავდაპირველად თუნდაც ოთხი ქვეყნის შემადგენლობით, გახდეს სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების თათბირზე გადაუდებელი განხილვის საგანი.

„ცივი ომის“ და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა, აღნიშნულია დოკუმენტში, რომ თათბირზე განიხილონ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრ სახელმწიფოთა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავდაუსხმელობის შესახებ ამა თუ იმ ფორმით შეთანხმების დადების საკითხი. ითვალისწინებს რა ასეთი ნაბიჯის დიდ მნიშვნელობას, საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სხვა ქვეყანას, არაერთგზის განუცხადებია, რომ მზად არის დადოს ასეთი მრავალმხრივი შეთანხმება.

ძნელია იმის უარყოფა, ნათქვამია შემდეგ, რომ ევროპაში, და არა მარტო ევროპაში, გაჯანსაღების მიღწევისათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს გერმანიის ტერიტორიაზე, აგრეთვე როგორც ნატოს, ისე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე უცხოეთის ჯარების რიცხვის შემცირებას, და მით უმეტეს ამ ჯარების სრულ გაყვანას. ითვალისწინებს რა, რომ შეთანხმება აღნიშნულ სახელმწიფოთა ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების სრული გაყვანის შესახებ, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, სერიოზულ სიძნელეებს აწყდება, საბჭოთა მთავრობის აზრით, საჭირო ხდება დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმება თუნდაც იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე, ანდა თავდაპირველად გერმანიის ტერიტორიაზე მაინც, მოხდეს მათი ჯარების რიცხვის შენცირება.

არ შეიძლება ამოწურულად მივიჩნიოთ აგრეთვე შესაძლებლობანი შეთანხმების მიღწევისა იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია უეცარი თავდასხმის თავიდან აცილებასთან, და განიარაღების ჯარგნი ნაბიჯების ხასიათის შესაბამისი კონტროლის სათანადო საკითხებზე, რომლებზეც უკვე უახლოეს ხანში შეიძლებოდა მიგვეღწია შეთანხმებისათვის, თუ დაინტერესებული სახელმწიფოები ესწრაფვიან ამას.

ამასთან დაკავშირებით, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, საჭირო ხდება განხილულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებანი, სახელდობრ: საკონტროლო საგუშაგოების დაწესება რკინიგზის კვანძებზე, დიდ ნავსადგურებში და ავტომაგისტრალებზე, რათა ხელი შეეშალოს ჯარებისა და სამხედრო ტექნიკის ფარულ კონცენტრაციას, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ასეთი უეცარი თავდასხმის მოსამზადებლად. იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რასაც ზოგიერთი მთავრობა ანიჭებს სახელმწიფოთა ტერიტორიის აეროფოტოგადაღებას განხორციელებას, განცხადებაში წამოყენებულია წინადადება აეროფოტოგადაღების 800-კილომეტრიანი ზონის დაწესების შესახებ იმ ხაზის ორივე მხარეზე, რომელიც ჰყოფს ევროპაში პირისპირ მდგომ სამხედრო დაჯგუფებებს. იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიის ტერიტორიაზე არის მშვიდობიანი დროისათვის შეიარაღებული ძალებისა და საომარი ტექნიკის არანორმალური თავმოყრა და, რომ სახელმწიფოთა მთავარი სამხედრო დაჯგუფებების არმიები აქ უშუალოდ ერთმანეთის პირდაპირ დგანან, მიზანშეწონილია შეთანხმება შესაბამის სახელმწიფოთა შორის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩათვლით, იმის შესახებ, რომ გერმანიის ტერიტორიაზე განხორციელდეს იმ ღონისძიებებისადმი კონტროლის უფრო ფართო ფორმებიც, რომლებზეც უკვე ახლა არის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა. ასეთი ღონისძიებანი შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, გერმანიის ორივე ნაწილის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების რიცხვის შენცირება, ხოლო შემდეგში — გერმანიიდან ან ჯარების სრულ გაყვანას, აგრეთვე, შესაბამის სახელმწიფოთა შეთანხმებით, ატომური იარაღისაგან თავისუფალ ზონას.

დოკუმენტში შემდეგ აღნიშნულია, რომ თათბირზე მიზანშეწონილია განხილულ იქნას აგრეთვე საკითხი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესაძლო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, ურთიერთობისა, რომელიც ბუნებრივი და ყველაზე საიმედო საფუძველია სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებისათვის. ამასთან საჭირო იქნება შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როცა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება არ შეფერხდება ხელოვნურად შექმნილი იარიღიული დაბრკოლებებით, რაც ბევრ სახელმწიფოს არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს სხვა სახელმწიფოებთან შედარებით.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ერთსულოვნად დაგმო ომის პროპაგანდა, დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში იგი დღემდე გრძელდება და არა თუ არ ნელდება, არამედ უფრო ფართოდაც ჩაღდება. აგრესიის ეს პროპაგანდა არსებითად არაფრით არ განსხვავდება ომისადმი იმ მოწოდებათაგან, რომლებსაც თავის დროზე ჰიტლერელები მმართავდნენ, არავითარ წინააღმდეგობას არ ხვდება აღნიშნულ ქვეყნებში და პრესის ბევრი ორგანო ხალისით თმობს თავის ფურცლებს ამ პროპაგანდის გასავრცელებლად. ყოველივე ეს სწამლავს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას, ბევრად აძლიერებს ეჭვიანობას მათს ურთიერთობაში, და ამით ზრდის ომის საფრთხეს.

ამიტომ წინადადებით გათვალისწინებულ თათბირზე საჭირო იქნება შეთანხმება იმის შესახებ, რომ მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა შეწყდეს ომის პროპაგანდა, რომელიც ამჟამად ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებს.

ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრა შესაძლებელს გახდიდა აზრთა ურთიერთ გაზიარებას ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში დაძაბულობის შენელების გზების შესახებ და იმაზე შეთანხმების მიღწევის ცდას, რომ დიდმა სახელმწიფოებმა არ გადადგან რაიმე ნაბიჯი, რომელიც დაარღვევს ამ რაიონის ქვეყნების დამოუკიდებლობას, აგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრისას ძალის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

საბჭოთა მთავრობის აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გადაჭრა არა მარტო მომწიფებულია, არამედ გადაუდებელიც არის. თათბირზე შეიძლებოდა განხილულიყო სხვა კონსტრუქციული წინადადებებიც, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ „ცივი ომის“ შეწყვეტას და რომლებიც შეიძლება დასვან თათბირის სხვა მონაწილეებმაც. შეიძლებოდა შეთანხმების მიღწევა იმაზე, თუ რა საკითხები უნდა იქნას განხილული სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების შემდგომ ეტაპზე, როგორც ანალოგიურ თათბირებზე, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში.

ცნობილია, მაგალითად, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს ამჟამად არა სურთ დათანხმდნენ ატომგულის იარაღის აკრძალვაზე და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მის ამოღებასა და დაგროვებული მარაგის მოსპობაზე, რაც თავის მხრივ ჩიხში ამწყვდევს აგრეთვე იმ საკითხის გადაჭრას, რომ შეწყდეს ხლეჩადი მასალების წარმოება სამხედრო მიზნებისათვის. ასეთ გარემოებაში სხვა აღარა რჩება რა, გარდა იმისა, რომ ატომური განიარაღების პრობლემის რადიკალურ გადაჭრასთან დაკავშირებული საკითხები გადიდოს მოლაპარაკების უფრო გვიანი ეტაპისათვის, მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნება შეთანხმება ნაკლებად რთულ საკითხებზე.

როგორც დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობათა ოფიციალური განცხადებებიდან ჩანს, ცხადია, არც იმის იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შემავალი ქვეყნები დათანხმდებიან ამჟამად წინადადებებზე იმის შესახებ, რომ:

არსებითად შემცირდეს შეიარაღებული ძალები და შეიარაღება და ამ მიზნით დაიდოს სათანადო საერთაშორისო შეთანხმება.

მთლიანად გაყვანილ იქნან უცხოეთის შეიარაღებული ძალები ნატოს მონაწილე და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიიდან, ლიკვიდირებულ იქნას უცხოეთის ყველა ბაზა სხვის ტერიტორი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აფხაზეთის ასსრ ღიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

აფხაზური და ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის და ქალაქ თბილისში აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. **აგრბას** როზანბეი მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
2. **არგუნ-კონოშოკს** ანა ბიდოს ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
3. **ზუბბას** მინადორა ივანეს ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
4. **ჩუბინიძეს** მიხეილ დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
5. **ჭედიას** ლეონ დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. **გაბისკირიას** შალვა მიხეილის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორს
2. **გუმბას** რაჟდენ ჯღუნტატის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს
3. **ვერულეიშვილს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მხატვარს
4. **ლაკერბაიას** ივანე ალექსანდრეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელს
5. **მარლანიას** ასთამურ ნიკოლოზის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორს
6. **ციმაკურიძეს** იოსებ ლევანის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. **ანშბას** ზოია კონსტანტინეს ასულს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს
2. **არძინბას** ვერა ზაქარიას ასულს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს
3. **ახბას** ვლადიმერ კონსტანტინეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობსა და ქორეოგრაფს
4. **ბიბილეიშვილს** აკაკი იაკობის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს
5. **ბოლქვაძეს** თინათინ ალექსის ასულს — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
6. **გუბლიას** ალექსი დიმიტრის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს
7. **დარახველიძეს** ოთარ სიმონის-ძეს — აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს
8. **ვარდანიას** შამილ ალექსის-ძეს — **აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ** არტისტს, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს
9. **ზარდანიას** სიმონ იოსების-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს
10. **კალანდაძეს** იოსებ კაპიტონის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
11. **კობახიას** სამსონ გუჯირის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
12. **კოვეს** აკაკი შირინის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს
13. **მაგრაქველიძეს** ასკალონ სამსონის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
14. **ნეფარიძეს** ვენერა ვლადიმერის ასულს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
15. **ნინიძეს** ვიქტორ ვიქტორის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
16. **პაჩალიას** მარიკა სედიკის ასულს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
17. **სანაძეს** ანა ალექსანდრეს ასულს — აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
18. **სიჭინავას** ვლადიმერ დიმიტრის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს
19. **ფორჩხუას** გრიგოლ ილიას-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
20. **შაკაიას** გიორგი ვლადიმერის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს
21. **ჩიხლაძეს** ლიუდმილა ალექსანდრეს ასულს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობსა და ქორეოგრაფს
22. **ცარგუმს** ვლადიმერ არზამეტის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს
23. **ჭოჭუას** იასონ ტუკოს-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
24. **ხორავას** ტარასი ტარასის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
25. **ჯიკირბას** ვენერა ხაჯარათის ასულს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1958 წ. 9 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში სოციალისტური რესპუბლიკების არქიტექტორთა თათბირი, ბელი ინჟინრები, დამპროექტებლები. თათბირის მონაწილენი პუბლიკებში საბინაო მშენებლობის შემდგომი გაფართოების

გუშინდელ სხდომაზე ტიპური საცხოვრებელი სახლებისა

გიხსნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა **რომლებს მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აფრეთვე მშენე-** **განიხილავენ ტიპური პროექტირებისა და ამიერკავკასიის რეს-** საკითხებს.

და კვარტალების პროექტების შესახებ მოხსენებებით გა-

მოვიდნენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე ბ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტექნიკური განყოფილების გამგე გ. ჩომახიძე, „აზგოსარხპროექტის“ დირექტორი თ. აბდულაევი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ა. მ. ალი-ზადე, სომხეთის სსრ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი მ. გრიგორიანი **და სხვ.**

სურათზე: **თათბირის მონაწილეთა ჯგუფი. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ვ. კორენკოვი (მოსკოვი), თ. აბდულაევი (აზერბაიჯანი), ს. ტუტუნჩენკო (მოსკოვი), მ. გრიგორიანი (სომხეთი), მ. შავიშვილი (საქართველო); დგანან: ს. რევიშვილი, ა. ჭურდიანი, მ. ლორთქიფანიძე, ა. სამაშვილი, ბ. ლორთქიფანიძე, ზ. ჭურდიანი (საქართველო), გ. აგაბაბიანი (სომხეთი), ა. თევზაძე (საქართველო).**

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის წინ

მკვეთრად ავამაღლოთ საკოლმეურნეო წარმოების დონე

თელავის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე

თავის XX კონფერენციას თელავის რაიონის პარტიული ორგანიზაცია სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური მუშაობის დარგში ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდა.

რაიონის მშრომელებმა სასიხარულო შედეგებით დაამთავრეს 1957 წელი. მარცვლეული კულტურების მოსავალი მიღებულ იქნა 7.436 ცენტნერით მეტი წინა წელთან შედარებით. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, 1957 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე ყურძნის მოსავალმა 57,1 ცენტნერი შეადგინა. გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. წინა წელთან შედარებით 1957 წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 180 ლიტრით მეტი რძე, ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

მომხსენებელი — რაიკომის პირველი მდივანი ა. ასათიანი და კამათში სიტყვებით გამოსული დელეგატები მოკლედ, მორიდებით ლაპარაკობდნენ მოპოვებულ წარმატებებზე. სამაგიეროდ კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილეს იმ უდიდეს რეზერვებზე, რომლებიც თვითეულ კოლმეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაშია.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში სრულყოფილად არ ახორციელებენ კომპლექსურ აგროტექნიკას, როგორიც არის საანეულო და მზრალად ხვნა, პროგრესული წესით თესვა, ნათესების მარგვლა და მავნებლებისაგან დაცვა, მინერალური და ორგანული სასუქებით დროული გამოკვება და სხვ. ცოტა როდია ისეთი ფაქტი, როცა მეზობელ კოლმეურნეებს თანაბარი მდგომარეობა აქვთ მიწის სავარგულებისა თუ ამინდის პირობების მხრივ. მაგრამ ხშირად ისინი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულ მოსავალს იღებენ. მაგალითად, აკურის კოლმეურნეობამ გასულ წელს ვენახის ფართობის საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 77,6 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ასე როდია საქმე მეზობელ სოფელ ვანთის კოლმეურნეობაში. ვანთელებსაც იგივე პირობები აქვთ, რაც აკურელებს, მაგრამ მათ მაინც ვერ მიაღწიეს ყურძნის მოსავლიანობის გადიდებას. მიუხედავად იმისა, რომ მათს ვენახებს შარშან სიტყვა არ მოხვედრია, ჰექტარზე საშუალოდ 44.7 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ასეთი ჩამორჩენა აიხსნება მეურნეობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით, საკოლმეურნეო წარმოების სუსტი გაძღოლით.

კურდღელაურისა და ყარაჯალის კოლმეურნეობებმა 1957 წელს ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავალი მიიღეს და ამით ფულადი შემოსავალიც გადიდეს. სამაგიეროდ, სოფელ კონდოლის კოლმეურნეობამ ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის დაბალება ვერ შეასრულა და შეუწყნარებლად ჩამორჩა მეზობელ კოლმეურნეობებს. როგორც კონფერენციაზე ითქვა, თითქმის ყველა კოლმეურნეობას ჰქონდა შესაძლებლობა აემაღლებინა როგორც მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, ისე მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მაგრამ ამ დარგებისადმი ზერელე დამოკიდებულების შედეგად მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს მოსავლიანობის გეგმები, ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დავალებანი.

— ჩვენს რაიონში მეურნეობის წამყვან დარგს, — განაცხადა თავის გამოსვლაში წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვ. მოდებაძემ, — მევენახეობა წარმოადგენს. კოლმეურნეობა ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობი როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში, მაგრამ ჯერაც არ არის გადაწყვეტილი მევენახეობისათვის ისეთი საარსებო საკითხები, როგორიც არის ვაზის დამლუპველი მტრის — ამბლაბუდასმკეთებელი ტკიპის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ ღონისძიებათა და ყურძნის მოსავლის გამანადგურებელი სტიქიური მოვლენის — სეტყვის თავიდან აცილების საშუალებათა შემუშავება.

კონფერენციის დელეგატებმა გ. ცხადაძემ, გ. საგანელიძემ, ა. გოგიძემ, ვ. ჭელიძემ და სხვებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს უსაყვედურეს იმის გამო, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საჭირო ტექნიკითა და სათადარიგო ნაწილებით აღჭურვას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

კონფერენციამ ყურადღება გამახვილა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. მაგრამ რაიკომის მისამართით გაკეთებულ კრიტიკულ შენიშვნებს აკლდა გამბედაობა, პირდაპირობა, ზოგიერთი დელეგატი ერიდებოდა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან „უსიამოვნებას“, „ურთიერთობის გამწვავებას“. ამიტომ დელეგატებს არაფერი თქვამთ იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად გამოდიან მასებში საუბრებით, პოლიტიკური მოხსენებებით.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც დასახულია ღონისძიებანი რაიონის საკოლმეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებისათვის, პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

* * *

ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ასათიანი, მეორე მდივნად—ამხ. ლ. საჩიშვილი, მდივნად — ამხ. ნ. მალოლეძე.

ა. კოკილაშვილი,
ს. ჟოჩლაძე.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აფხაზეთის ასსრ ღიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აფხაზური და ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და ქალაქ თბილისში აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ადამია** კოსტანდელ ბაზალის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
2. **აგუმავა** შაკიტ სულახიერ-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
3. **ავიძბა** შააბან სუსრანის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
4. **აიბა** გრიგოლ ზაფასის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
5. **აკობია** შოთა სოფრომის-ძე — პოეტი
6. **აშუბა** ხაჯარათ შმატის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
7. **აშუბა** პიჩა შმატის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
8. **აშუბა** მიჩა კერანტუხის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
9. **ბოკუჩავა** აკაკი იოსების-ძე — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
10. **ბუბნოვა** მარიამ დიმიტრის ასული — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი
11. **გამისონია** ხუტა დარისმანის-ძე — გალის რაიონის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი
12. **გვახარია** დავით გიორგის-ძე — გაგრის რაიონის კულტურის სახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი
13. **გერხელია** კემსიმ მუსტაფას-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
14. **გორელოვა** ეკატერინე პავლეს ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი
15. **გორგაძე** შალვა ანთიმოზის-ძე — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი
16. **გუმბა** დუგა ხოტოს-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
17. **გუნია** სუმა ნიკოლოზის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
18. **დავიდოვა** ანა აბრამის ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი
19. **დარსანია** იასონ მაქსიმეს-ძე — აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილე
20. **ევროპინა** ვერა თევდორეს ასული — სოხუმის სამხატვრო სკოლის მასწავლებელი
21. **ელბაქიძე** თინათინ კონსტანტინეს ასული — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
22. **ემუხვარი** ვალენტინა ვასილის ასული — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი
23. **ვანაჩ** თემურ კუბაკის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
24. **ვეპრეისკაია** მარიამ პეტრეს ასული — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი
25. **ზიზდო** ანტონინა ვასილის ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი
26. **თარბა** გიორგი ალექსანდრეს-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერიაა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი
27. **თორდია** ვალერიან ტრიფონის-ძე — გაგრის რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე
28. **თურჟა** ეკგენია მაქსიმეს ასული — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
29. **კვიცინია** თახაირ მუსტაფას-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
30. **კოგონია** ეთერ კონსტანტინეს ასული — თბილისის თეატრალური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი
31. **კოჟუხოვი** ანატოლ ვასილის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ორკესტრის მსახიობი
32. **კუკულაძე** პოლა ვლადიმერის-ძე — საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე, მხატვარი
33. **კუპალბა** ჯღუნტატ ალგერის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
34. **ლაბახია** ზოსიმე გიორგის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
35. **ლოლუა** თამარ იოსების ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი
36. **ლომაძე** გიორგი მალაქიას-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი
37. **მარტიროსიანი** ჰაიკ ხარატერის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დეკორაციული საამქროს გამგე
38. **მარხოლია** შადატ ქამშაშის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
39. **მიქაშავიძე** ნიკოლოზ ვარლამის-ძე — აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
40. **ნაჰუბია** ბესარიონ ნიკოლოზის-ძე — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი
41. **ოთარბა** ასლან ტამშუღის-ძე — საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე
42. **ოქროპირიძე** თამარ ლავრენტის ასული — აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
43. **პოპოვა** ევდოკია თევდორეს ასული — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამკერვალო საამქროს გამგე
44. **სანღულია** ვლადიმერ ქუტეს-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი
45. **საკანია** მადან ბათოს-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
46. **სახეიშვილი** ვლადიმერ ლეონტის-ძე — აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების დაწესებულებათა ინსპექტორი
47. **სიროეჟინი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი
48. **ფირუზბა** მალაქია კოკალის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
49. **ფაჩულია** ჯარმა კემუშის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
50. **ფილია** ანტონ ხასანის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
51. **შამბა** ლევან ესნატის-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი
52. **შედანია** ფეოდოსია ბესარიონის ასული — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
53. **შლარბა** ასტან ღუდისის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
54. **ჩიქოვანი** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
55. **ჩიჩბა** ალექსი ჩანთოს-ძე — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გუდაუთის რაიონის კულტურის სახლის დირექტორი
56. **ჩხიკვაძე** ეთერ იროდიონის ასული — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი
57. **ცვიჟუბა** შალვა ლევარსანის-ძე — მწერალი
58. **წიფურია** ბორის მიხეილის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
59. **წოწონავა** სერგი აპოლონის-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი
60. **ჭითანავა** შმატ ნწანის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
61. **ხალვაში** ვიქტორ ხოტხოტის-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი
62. **ხოჭოლავა** ოლგა ნიკოლოზის ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი
63. **ჯენია** ნაზბი დავითის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
64. **ჯენია** სინათ მუსოს-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
65. **ჯოპუა** ხუტა ფრანკლინის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
66. **ჯოპუა** თარაშ მანუხის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1958 წ. 9 იანვარი.

აფხაზი ხალხის წარსულიდან

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ქართველი საზოგადოებრობა აღფრთოვანებით შეეგება აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადას. თბილისის მშრომელები გულწრფელად გაახარა აფხაზი ხალხის მიერ კულტურის ფრონტზე მოპოვებულმა წარმატებებმა.

ქართველი ხალხისა და აფხაზი ხალხის მეგობრობას შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. ისინი ერთმანეთს მხარში ედგნენ განსაკუთრებით მაშინ, როცა რომელიმე მათგანს მძიმე დღეები დაუდგებოდა.

ასეთი მძიმე დღე დაუდგათ აფხაზებს, კერძოდ, 1877-1878 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ბერლინის ხელშეკრულებით, რომლითაც ხსენებული ომი დასრულდა, საქართველომ თურქეთის მიერ მიტაცებული ბათუმის მხარე დაიბრუნა, რაც ქართველი ხალხის დიდი ეროვნული ზეიმი იყო. სიხარულს ეს გრძნობა, გაბოროტებული საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენით, მაინც შეზღუდული აღმოჩნდა იმ უბედურებით, რაც ონის წლებში და მას შემდეგ თავს დაატყდა აფხაზეთის მშრომელ მოსახლეობას.

აფხაზეთი, საქართველოს ეს ერთ-ერთი შესანიშნავი კუთხე, საგრძნობლად დაზარალდა სომარი მოქმედების დროს. აფხაზები, — გულისტკივილით წერდა გაზეთი „დროება“, — „ძალიან დიდს შეეწროებაში და შეწუხებაში არიან. მათთვის არ დარჩენილა სახლ-კარი, საბმელ-სასმელი, სულ ერთიანად აოხრებული იყო ოსმალოს ჯარებისაგან. რაც შენობა და საზრდო იყო: სინინდი, ღომი, ფეტვი, — სულ ერთიანად ცეცხლს მისცეს; რაც პირუტყვი ჰყავდათ, აგრეთვე სახლის ავეჯეულობა, ტანისამოსი — სულ წაიღეს“ საშინელ სანახაობას წარმოადგენდა მტრის ჯარების მიერ დანგრეული სოხუმი.

მთავარი უბედურება იყო მაინც არა შენობების დანგრევა და მეურნეობის მოშლა, არამედ აფხაზი მშრომელების ძალით გასახლება თურქეთში, რაც ამ უკანასკნელის მიერ იყო მოწყობილი. თურქეთში საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილი აფხაზები ყოველ ღონეს ხმარობდნენ უკან დასაბრუნებლად და ერთმა ნაწილმა კიდეც მიაღწია მიზანს, მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა გარკვეული მოსაზრებით აბრკოლებდა ამ საქმეს.

საშობოლოდან ძალით გასახლებულ აფხაზების უკან დაბრუნებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოწინავე ქართველმა ინტელიგენტებმა. მათ თვით გასახლების მომენტში და შემდეგაც გაბედულად აღიმაღლეს ხმა აფხაზების დასაცავად და მთელი ქართველი ხალხის სახელით მათი მშობლიურ ქვეყანაში გამობრუნება მოითხოვეს. „დროება“ და სხვა გაზეთები ხშირად ათავსებდნენ კორესპონდენციებს მაჰაჯირებზე (ასე უწოდებდნენ ძალით გასახლებულ აფხაზებს), გამოთქვამდნენ მათდამი უდიდეს თანაგრძნობასა და სიმპათიას. ცნობილი მოღვაწე სერგეი მესხი სტატიაში „აფხაზები და აფხაზეთი“ წერდა: რაკი „ეს ასეა (ე. ი. რაკი აფხაზები თურქებმა ძალით გასახლეს. — ი. ა.), მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მთავრობა ნებას მისცემს ყველა აფხაზს, ხელახლად თავის ქვეყანაში დაბრუნდეს და დასახლდეს“.

აი მეორე ქართველი მოღვაწის იონა მეუნარგიას ასევე უაღრესი თანაგრძნობით აღსავსე სტატია, დაბეჭდილი გაზეთ „დროების“ 1880 წლის 20 სექტემბრის ნომერში. „თქვენ წარმოიდგინეთ ახლა, — წერდა ის, — რანაირ მდგომარეობაში უნდა იყვნენ ეს საწყალი აფხაზები, რომელნიც თევზივით ყრიან ერთიმეორეზედ „აგიოს-პეტროსის“ გემში (ამ გემით მოდიოდნენ აფხაზები თურქეთიდან სამშობლოში — ი. ა.), რომელთაც არც საშველი აქვთ, არც სასმელი, არც ტანისამოსი და რაც ყველაზე უარესია — არც ხმელეთზე გამოსვლის ნება. დასასრულ, ავტორი მოითხოვდა მრავალტანჯული და სამშობლოს ძალით მოგლეჯილი აფხაზებისათვის უკან დაბრუნების ნებართვის მიცემას.

მეფის მთავრობის მხრივ აფხაზებისადმი უგულო დამოკიდებულების წინააღმდეგ პროტესტის ხმა ისმის გაზეთ „დროების“ მესამე სტატიაშიც. „თბილისის მოამბის“ კორესპონდენტი, — ეკითხულობთ იქ, — დიდ გაკვირვებას იწვევება ამათსას (ე. ი. აფხაზებისა. — ი. ა.). საიდღამაც იმათში ხმა გავრცელებულაო, რომ რუსის მთავრობამ ნება მისცა თავის სამშობლოში დაბრუნებისაო. ჩასხდნენ ფილუკებში და ტრაპეზუნდიდან... ცოლშვილითა და ბარგი-ბარხანით წავიდნენ სოხუმშიო. მაგრამ იქაურმა მთავრობამ ყველას ხელი დაავლო, ისევ ნავებში ჩასვეს და უკანვე დააბრუნესო“.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულის ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე მსგავსი შინაარსის მრავალი სხვა წერილიც იყო მოთავსებული. მაგრამ ჩვენ მათზე არ შევჩერდებით. მოცვანილი ადგილებიც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ, მაშინდელ პროგრესულ პრესას და მის გარშემო გაერთიანებულ მოწინავე საზოგადო მოღვაწეებს სავსებით გარკვეული და მტკიცე პოზიცია დაუკავებიათ ამ ხალხის ბედისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხში.

ქართველი ინტელიგენციის ასეთმა ერთსულოვანმა და გაბედულმა გამოსვლამ, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, გავლენა მოახდინა მეფის მთავრობაზე. ეს უეანასკნელი იძულებული გახდა ტანჯულ-წამებული აფხაზებისათვის მშობლიურ მხარეში დაბრუნების ნება მიეცა.

აქ მოთხრობილი მძიმე ეპიზოდი წარსულს ეკუთვნის. ამჟამად კი აფხაზი ხალხი, თავისი ავტონომიით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შემავალი, ლაღად და ბედნიერად ცხოვრობს. ის ამყობს თავისი წარმატებებით მეურნეობისა და კულტურის დარგში, რომლებიც მოპოვებულია მისი თავდადებული შრომის შედეგად, ქართველი ხალხის უშუალო დახმარებით.

ი. ანთელავა,
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.



აფხაზეთის ასსრ. გასულ წელს გაგრაში გაიხსნა სანატორიუმი „მენავთობე“. სურათზე: სანატორიუმ „მენავთობის“ ტერიტორია.

შევქმნათ სოფლად მსხვილი ავტომეურნეობები

ფართოდ დავნერგოთ მახარაძის რაიონის საკოლმეურნეოგათაშორისო ავტოგაზის მუშაობის გამოცდილება

* * *

რას მეტყველებს ათი თვის შედეგები

ჯერ კიდევ პარტიის XX ყრილობაზე დაისვა საკითხი მსხვილ სამრეწველო ცენტრებში არსებული წვრილი ავტომეურნეობების გამსხვილების მიზანშეწონილობის შესახებ. ყრილობის მასალების შესწავლის დროს დაგვებადა აზრი: ხომ არ შეიძლებოდა გაგვეხორციელებინა ეს აგრეთვე რაიონის კოლმეურნეობებში? არ გასულა ყრილობიდან ერთი წელი, და ქ. მახარაძეში შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზა.

რაიონის 36 კოლმეურნეობიდან ავტობაზაში გაერთიანდა 19 სასოფლო-სამეურნეო არტელი. უნდა აღინიშნოს, რომ ავტობაზის ჩამოყალიბების დროს მხედველობაში იქნა მიღებული მანძილის ფაქტორი. ავტობაზაში ძირითადად გაერთიანდნენ ის კოლმეურნეობები, რომლებიც რაიონულ ცენტრთან შედარებით ახლოს მდებარეობენ.

ავტობაზა არის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საპაიო ორგანიზაცია, რომელიც კოლმეურნეობათა საერთო საკუთრებას წარმოადგენს.

ავტობაზაში გაერთიანებული 19 კოლმეურნეობის წევრებმა თავის დროზე საერთო კრებებზე აირჩიეს სამ-სამი წარმომადგენელი (რწმუნებულები). კოლმეურნეობების რწმუნებულთა საერთო კრებამ 1957 წლის 4 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება ავტობაზის შექმნის შესახებ, განიხილა და დაამტკიცა „დებულება საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის შესახებ“ და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები: ავტობაზის საბჭო და სარევიზიო კომისია.

წინასწარ მიიღო რა კოლმეურნეობებიდან გეგმა-განაცხადები, ავტობაზის საბჭომ ამის საფუძველზე შეადგინა ავტობაზის 1957 წლის სატრანსპორტო-საფინანსო გეგმა.

ავტობაზაში გაერთიანებულ იქნა 34 სატვირთო ავტომანქანა.

ავტომანქანებზე ძირითადად მუშაობენ კოლმეურნეობებიდან მოვლინებული მძღოლები, რომლებიც, თანახმად „საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის დებულებისა“, ინარჩუნებენ კოლმეურნეობის წევრის ყველა უფლებას. ავტომანქანების მოვლა-შეკეთებაზე მუშაობენ მაღალკვალიფიციური მექანიკოსები და ზეინკლები.

ყველა ამ ტექნიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა განხორციელებამ შესაძლებლობა მოგვცა მკვეთრად გაგვეუმჯობესებინა მანქანების მოვლა-პატრონობა, მიგვეღწია ავტოსაბურავების სწორი ექსპლოატაციისათვის და გაგვეხანგრძლივებინა მათი მომსახურების ვადა. ცალკეულმა მძღოლებმა 30 ათასი კილომეტრის ნაცვლად საბურავები

დ. ჭეიშვილი

* * *

ატარეს 45-50 ათას კილომეტრზე, რის გამო, დადგენილი წესის თანახმად, მათ პრემიის სახით მიეცით დაზოგილი საბურავების ღირებულების 30 პროცენტი.

შექმნის დღიდან მიმდინარე წლის 1 იანვრამდე ავტობაზის მანქანებმა სულ გაირბინეს 1.398 ათასი კილომეტრი ანუ გეგმის 109 პროცენტი. მათ შორის ტვირთით გარბენილია 803 ათასი კილომეტრი — გეგმის 125 პროცენტი. გარბენის გამოყენების კოეფიციენტის გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით. გადაზიდულია სხვადასხვა სახის 113 ათასი ტონა ტვირთი, მათ შორის ავტობაზაში შემავალი კოლმეურნეობებისა — 98.965 ტონა ანუ თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე განაცხადით იყო გათვალისწინებული. გარბენილია 2.123 ათასი ტონა-კილომეტრი, რაც საგეგმო დავალების 120 პროცენტს შეადგენს. ავტომომსახურებით მიღებული შემოსავალი 1.634 ათას მანეთს უდრის, ეს კი საგეგმო დავალების 101,6 პროცენტია. ნაცვლად 1.463 ათასი მანეთისა, გაწეულია 1.347 ათასი მანეთის ხარჯები. ერთი ტონა-კილომეტრის თვითღირებულება შეადგენს 63,4 კაპიკს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 82,7 კაპიკისა. თვითღირებულება გაიაფებულია 23,3 პროცენტით. ავტობაზამ შეძლო დაეგროვებინა 287 ათასი მანეთი მოგება გეგმით გათვალისწინებული 145,6 ათასის ნაცვლად.

ამ მაჩვენებლებიდან ყველაზე საყურადღებოა ის, რომ ავტობაზის მანქანებით ტონა-კილომეტრის თვითღირებულება ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე კოლმეურნეობების მანქანებით. ეს თვითღირებულება გაცილებით ნაკლები იქნებოდა, საწვავ-საცხებ მასალებს, საბურავებს და სათადარიგო ნაწილებს სახელმწიფო ფასებში რომ ვყიდულობდეთ.

ჩვენ ყოველთვიურად ვამცირებთ კოლმეურნეობათა მომსახურების საფასურს. მაგალითად, თუ 1957 წლის აპრილში ტონა-კილომეტრის საფასური შეადგენდა 1 მანეთსა და 3 კაპიკს, მაისში იგი უდრიდა 90 კაპიკს, ხოლო დღეს კოლმეურნეობები უკვე თვითეულ ტონა-კილომეტრში იხდიან 78 კაპიკს, ე. ი. გეგმით გათვალისწინებულზე 13 კაპიკით ნაკლებს. ამით მათ დაზოგეს სულ ცოტა 276 ათასი მანეთი. თუ ამ დანაზოგს დავუმატებთ იმ მოგების (287 ათასი მანეთი) განსაზღვრულ თანხებს, რაც ავტობაზამ დააგროვა და დებულების თანახმად კოლმეურნეობებს უნდა გაუნაწილდეს მათი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად, დავინახავთ, რომ თვითეულმა საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო არტელმა ავტობაზის მუშაობის ათი თვის განმავლობაში უკვე მიიღო ათეულ ათასობით მანეთი ეკონომია.

ამ წარმატებათა მოპოვება შესაძლებელი გახდა ავტობაზის მთელი კოლექტივის, კერძოდ, ავტომძღოლების თავდადებული მუშაობით.

ვფიქრობთ, წლიური ანგარიშის ჩაბარების დროს რწმუნებულთა კრებაზე შევიტანოთ წინადადება ზეგეგმითი მოგების განსაზღვრული პროცენტის გამოყოფის შესახებ მოწინავე მძღოლთა ჯილდოების ფონდში.

მახარაძის საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზას ამჟამად ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ 1958 წელს კიდევ უფრო უკეთ მოემსახუროს კოლმეურნეობებს და ხელი შეუწყოს მათ უმნიშვნელოვანესი ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში.

დ. ჭეიშვილი,
მახარაძის საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის საბჭოს თავმჯდომარე.



ავტოკოლონა მორიგ რეისზე გასვლის წინ. ფოტო გ. გოგობიანისა.

ლაპარაკობენ კოლმეურნეოგათა თავმჯდომარეები

კოლმეურნეთა მადლობა

ჩვენი კოლმეურნეობა ავტობაზის ერთი დამფუძნებელთაგანია. თუ რამდენად ხელსაყრელია ავტობაზა კოლმეურნეობებისათვის, ამაში საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით. ერთი მაგალითი. შარშან ხუთ თვეში ავაშენეთ კულტურის დიდი სახლი. თუ არა ავტობაზის ქმედითი დახმარება, ჩვენ ამ ობიექტის მშენებლობა წლობით გაგვიჭიანურდებოდა. ყოველდღიურად ბაზა იმდენ ავტომანქანას გვიგზავნიდა, რამდენიც გვესაჭიროებოდა. ახლა სიიაფე! ტონა-კილომეტრი მხოლოდ 78 კაპიკი დაგვიჯდა, მაშინ როცა კოლმეურნეობის მანქანებით ამ საქმეზე 1 მანეთი და 20 კაპიკი გვეხარჯებოდა.

ავტობაზაში ჩვენი კოლმეურნეობის 8 მანქანაა გაერთიანებული. მალე დარჩენილი ორი მანქანიდან ერთს კიდევ გავაერთიანებთ, ხოლო ერთს კი დავიტოვებთ კოლმეურნეობის შიდა საჭიროებისათვის.

მანქანებზე განაცხადს ბაზას საღამოს ვაძლევთ, დილას კი დანიშნული დროისათვის ტრანსპორტი უკვე ჩვენთან არის.

ათი თვის მანძილზე არ ყოფილა მანქანების დროზე გამოუცხადებლობის არც ერთი შემთხვევა. ჩვენი მხრივ ყოველნაირად ვცდილობთ არ გავაცდენოთ მანქანა. მაგრამ თუ კი ასეთი შემთხვევა მაინც მოხდა, კოლმეურნეობის ბრიგადირის მიზეზით, ამ უკანასკნელს ვაწერთ მანქანის გაცდენის საფასურს. ამან აამაღლა ბრიგადირთა პასუხისმგებლობა.

ბაზის გამსხვილებისას გაცილებით უკეთ მოეწყობა მანქანების რემონტი, სათადარიგო ნაწილების შეძენის საქმე, ადგილი აღარ ექნება მანქანების მოცდენას.

ავტობაზა ძალიან დაგვეხმარა მოსავლის აღებისა და სილოსების დამზადების უადრესად შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებაში. მანქანებით გადაგვყავს და გადმოგვყავს კოლმეურნეები მინდვრად და უკან. კოლმეურნეთა მადლობას იმსახურებენ მძღოლები მ. ყურაშვილი, კ. ჩხარტიშვილი, რ. ვასილიევი.

ნ. ჭანუყვაძე,
სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სასარგებლო საქმე

საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენაა კოლმეურნეობათა ცხოვრებაში. სოფელ ასკანის სასოფლო-სამეურნეო არტელი თუმცა ჯერ არ მონაწილეობს ამ ბაზის მუშაობაში, მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს წელს გამოვასწოროთ ეს მდგომარეობა.

კოლმეურნეობას ექვსი სატვირთო და ერთი მსუბუქი მანქანა აქვს. აქედან 3-4 მანქანა სისტემატურად რემონტშია. სარემონტო სახელოსნოს უქონლობის გამო მანქანები ხშირად უქმად გვიდგას. როცა ჩვენი სატრანსპორტო მეურნეობა ბაზაში გაერთიანდება, მანქანის შეკეთება ადვილი იქნება.

ჩვენს კოლმეურნეობას ტონა-კილომეტრი მეტად ძვირი უჯდება, ვიდრე საკოლმეურნეო ავტობაზას. დავასახელებთ ერთ მაგალითს. გასული წლის დეკემბერში კოლმეურნეობამ საშუალო სკოლის მშენებლობისათვის სომბრეთიდან 1.000 კვადრატული მეტრი ტუფის ქვა მიიღო. საჭირო იყო ამ მასალის სასწრაფოდ ადგილზე გადატანა. მივმართეთ ავტობაზას. ყოველდღიურად 20-30 მანქანა გამოგვიყვეს, და 5 დღეში საშენი ქვა ადგილზე იქნა მიზიდული. როცა გამოვიანგარიშეთ, ერთი ტონა-კილომეტრი ავტობაზის მანქანებით 68 კაპიკი დაგვიჯდა, მაშინ როცა კოლმეურნეობას იგი 1 მანეთი და 10 კაპიკი უჯდება.

ბ. ვასაძე,
სოფელ ასკანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ავტობაზის მანქანების გამოყენების ეკონომიური ეფექტი.



გაუმჯობესდა მანქანების ტექნიკური მოვლა

საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის შექმნის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მძღოლთა და ხელოსანთა შერჩევის საქმეს. შეიქმნა კარგი, საქმის მცოდნე, მტკიცედ შეკრული კოლექტივი.

სპეციალისტთა უნარიანი კადრების შერჩევის შედეგიც არის, რომ მკვეთრად გაუმჯობესდა მანქანების მოვლა-პატრონობა.

ავტომანქანების მოვლა-პატრონობისათვის ჩვენთან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, გვაქვს სამეჯლო, სადურგლო, საზეინკლო, ვულკანიზაციის საამქროები, გამოყენებულია ელექტრო და აირშემდუღებელი აპარატები, აკუმულატორის დამუხტავი აპარატი. ამ დღეებში მივიღებთ საბარატო ჩარხსაც.

მძღოლთა დიდ ნაწილს ნაკისრი აქვს ვალდებულება გაზარდოს შეკეთებათაშორისი გარბენა. მთელმა რიგმა მძღოლებმა იკისრეს შეკეთებათაშორის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მძღოლთა და ხელოსანთა შერჩევის საქმეს. შეიქმნა კარგი, საქმის მცოდნე, მტკიცედ შეკრული კოლექტივი.

ავტობაზაში მომუშავე 38 მძღოლიდან 1 პირველი, 18 მეორე და 19 მესამე კლასისაა. მოვაწყეთ მძღოლთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი დაუსწრებელი სკოლაც, რომელმაც დადებითი შედეგი გამოიღო.

მძღოლები თვალსაჩინოთ უვლიან მანქანებს, იბრძვიან თვითეული ნაწილის მუშაობის გახანგრძლივებასა და შეკეთებაზე გაწეული ხარჯების შემცირებისათვის. ამის შედეგად გასული წლის მაჩვენებლებით ავტობაზამ საშუალოდ ერთ ტონა-კილომეტრზე შეკეთების ხარჯები გასწია 4,5 კაპიკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 კაპიკისა. ავტომანქანების ტექნიკური მოვლისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესებამ მოგვცა საწვავი მასალის ეკონომიურად ხარჯვის შესაძლებლობა.

ავტომეურნეობას გამართული საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანების მრიცხველების წესიერ მუშაობას. მივაღწიეთ იმას, რომ ბარაჟიდან არც ერთი მანქანა არ გადის მოუწესრიგებელი მრიცხველით.

ჩვენი ყურადღების ცენტრშია ავტოსაბურავების სწორი ექსპლოატაცია. სათანადო საშუალებდ მანძილის გაგლის შემდეგ, როგორც წესი, ვაწარმოებთ საბურავების გადაადგილებას, ყოველდღიურად ვამოწმებთ საბურავებში წნევას და ვიცავთ მის ნორმალურ მდგომარეობას. ამ ღონისძიებათა განხორციელებით ყველა საბურავმა დაწესებულ ნორმაზე გაცილებით მეტი გაიარა. ამით ჩვენ მიერ გაწეული ეკონომია მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის 21.600 მანეთს შეადგენს.

პარკის გამოყენებისა და ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტი საგრძნობლად მაღალია. ავტობაზის კოლექტივს საშუალება აქვს მოაწესრიგოს საკოლმეურნეო ტვირთზიდვა. ახლა გამორიცხულია ისეთი შემთხვევა, როცა ერთი კოლმეურნეობა ტრანსპორტის სიმცირეს განიცდის, ხოლო მეორეს ამ დროს მანქანები უცდება.

გასული წელი, საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის შექმნის პირველი წელი, წარმატებით დავამთავრეთ. ბაზის კოლექტივი წელს მეტი ენერგიით იმუშავებს.

ჯ. პატიეშვილი,
ავტობაზის მთავარი ინჟინერი.



სურათებზე (ზემოდან): მძღოლები მ. სალუქვაძე, დ. დარჩია და ფულკანიზატორი ი. უჯმაჯურიძე.

ჩვენ ვამბობთ—ხელსაყრელია!

1930 წლიდან მძღოლად ვმუშაობ. 27 წლის მანძილზე კარგად დავეუფლე მანქანის მართვას და პირველი კლასის სპეციალისტი გავხდი.

ჩემს ამხანაგებთან ერთად დიდი სიხარულით შევიტყვე საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის შექმნა. დაარსების პირველივე დღეებიდან ვმუშაობ ბაზაში და აქტიურ მონაწილეობას ვიღებ საკოლმეურნეო ტვირთზიდვაში.

ავტობაზაში ტრანსპორტის გამართული მუშაობის ყოველგვარი პირობაა შექმნილი. გვაქვს საუკეთესოდ მოწყობილი სახელოსნო, სადაც თითქმის ყველა სათადარიგო ნაწილი მოიპოვება.

აღსანიშნავია, რომ მორიგი რეისის შესახებ მძღოლებს წინა ღამით გვაფრთხილებენ, რათა ყოველმხრივ მოვემზადოთ სამუშაოზე დაუბრკოლებლივ წასასვლელად. ამიტომ არის, რომ ჯერ არ მჭონია გზაში რაიმე შეფერხების შემთხვევა.

ავტობაზაში მუშაობა ჩვენთვის, მძღოლებისათვის, დიდად ხელსაყრელია. ჩემი საშუალო თვიური გამომუშავება 1.500 მანეთს შეადგენს. ხშირად ვიღებ პრემიებსაც. კარგი შრომითი მაჩვენებლებისათვის მომენიჭა ავტობაზის საბჭოსა და პარტორგანიზაციის გარდამავალი წითელი დროშა.

ჩაის კრეფის სეზონზე ჩემი მანქანა სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობაში მუშაობდა. დილის 6 საათიდან გადამყავდა მეჩაიეები სოფლის ცენტრს დაშორებულ პლანტაციებში. ჩემი მიზნით არასოდეს არ შეფერხებულა საკოლმეურნეო საქმე.

მიღწეული შედეგებით არ დავკმაყოფილდები, კიდევ უფრო გავაძლიერებ მუშაობას ახალი მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

მ. სალუქვაძე,
ავტომანქანის მძღოლი.

კომუნისტები—ავანგარდში

მძღოლთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენება ავტობაზის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი უბანია. ეს გასაგებიც არის, რადგან კარგად მოწყობილ საგიტაციო მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული კოლექტივში მტკიცე დისციპლინა, ავტომანქანების ტექნიკური მოვლა-პატრონობის მაღალი დონე და კოლმეურნეობების კეთილსინდისიერი მომსახურება.

პარტიულ ორგანიზაციაში 13 კომუნისტია, რომელთაგან 6 ავტომძღოლია. კომუნისტები წარმოების ავანგარდში არიან. მაგალითად, ავტომძღოლმა მ. ყურაშვილმა, რომელიც გაზ-51 მარკის ავტომანქანაზე მუშაობს, ათ თვეში გადაზიდა 88.369 ტონა-კილომეტრი ტვირთი და მიიღო 14.634 მანეთი ხელფასი. შრომითი მამაცობის მაგალითს გვიჩვენებენ კომუნისტი ავტომძღოლები დ. დარჩია, დ. ბერიძე და სხვ.

ტ. ულენტი

* * *

პარტიულ კრებებზე რეგულარულად განვიხილავთ საწარმოო ხასიათის საკითხებს. გასული წლის აპრილში განვიხილეთ თვითღირებულების შემცირების საკითხი, რაც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მაშინ შედარებით მაღალი იყო ტონა-კილომეტრი ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება — იგი შეადგენდა 1 მანეთსა და 3 კაპიკს. პარტიულ კრებაზე მიღებული ღონისძიების ორგანიზატორული მუშაობით გამტკიცების შედეგად ივლისში ეს მაჩვენებელი 82 კაპიკამდე შემცირდა, ხოლო ათ თვეში 63 კაპიკი შეადგინა.

ავტობაზაში გაშლილია საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც უკლებლივ ყველა თანამშრომელია ჩაბმული. ყოველი თვის დასაწყისში ყველაზე მოწინავეს წინა თვის მაჩვენებლების მიხედვით ენიჭება გარდამავალი წითელი დროშა. შემოღებულია საპატიო წიგნი. ყოველი მძღოლი თავისი სახელისა და ღირსების საქმედ თვლის შეტანილ იქნას ამ წიგნში. ბაზასთან მოწყობილია წითელი კუთხე, სადაც მუდამ არის ახალი ჟურნალები და გაზეთები. ყოველთვიურად გამოდის კედლის გაზეთი „ჩვენი სარკე“. ვაწყობთ კოლექტიურ სვლებს ლექციებსა და მოხსენებებზე, აგრეთვე კინოთეატრში. კომუნისტი აგიტატორები ზ. ბილიხოძე, ვ. დოლიძე და დ. ბერიძე აღაფრთოვანებენ ავტობაზის მთელ კოლექტივს უკვეთესი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

ტ. ულენტი,
მახარაძის საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი, გარაჟის გამგე.

რეპორტაჟი

პირველი საკოლმეურნეოგათაშორისო...

ცისმარე დღეს გარიჟრაჟზე ფართოდ იღება ალაყაფის კარი და სამ ათეულზე მეტი სატვირთო ავტომანქანა რაიონის ცენტრიდან სხვადასხვა მხარეს მიემართება. გვიან საღამოს ისინი კვლავ მოისწრაფიან, მაგრამ უკან, ქალაქ მახარაძის საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზისაკენ.

ავტობაზის დიდ, კეთილმოწყობილ კარმიდამოში, რომელიც ქალაქის შუაგულშია, ცხოვრება დუღს. საბჭოთა კავშირში პირველ საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის შეწყობილ კოლექტივს თავისი წვლილი შეაქვს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში.

ავტობაზის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი დ. ჭეიშვილი იგონებს ავტობაზის ჩამოყალიბების პირველ დღეებს.

— მაშინ ბევრი ამ საქმეს სკეპტიკურად უყურებდა, — ამბობს იგი, — მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ მის წამოწყებას.

ახლა, როცა ავტობაზის ჩამოყალიბებიდან ათ თვეზე მეტმა რომ განვლო, ძნელად თუ მოიძებნება რაიონში ადამიანი, რომ დარწმუნებული არ იყოს ამ საქმის სარგებლიანობაში, საქმისა, რომლის იდეა მახარაძელებს პარტიის XX ყრილობამ შთაუნერგა.

სახელი მახარაძის საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზისა შორს გასცდა რაიონის ფარგლებს. მის შესახებ დაბეჭდილი იყო წერილები ჩვენს რესპუბლიკურ პრესაში, ალაპარაკდა რადიო, გამოქვეყნდა მასალა ერთ-ერთ ცენტრალურ ჟურნალში. აი გუშინ, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, ჩვენ გადმოგვცეს ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ უკანასკნელი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. შ. ჭანუყვაძის ვრცელი წერილი მახარაძის საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის შესახებ.

ყოველდღიურად იზრდება ავტობაზის ფოსტა. მას სწერენ საქმით დაინტერესებული ადამიანები რუსეთიდან, დაღისტნიდან, უკრაინიდან...

ინტერესით შევიტყვეთ თქვენი საკოლმეურნეობათაშორისო ავტ.ბაზის შექმნის ამბავი. გთხოვთ აუწვრილებით გვაუწყოთ მისი მუშაობის ორგანიზაცია, — წერენ ერთნი. არის სხვა ხასიათის წერილებიც, რომელთა ავტორები ავტობაზის საბჭოს სწერენ აქ სამუშაოდ მიღების შესახებ. მაგალითად, ასეთი წერილი მიიღეს ავტობაზაში ახალწლის წინადღეებში.

„ავტობაზის დირექტორს.

მოვისმინეთ რა რადიოთი თქვენი გამოსვლა იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა მახარაძეში საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზა და რა მიღწევები მოიპოვა მან, ძალიან აღფრთოვანებული ვართ ამით და ვუსურვებთ თქვენს ავტობაზას შემდგომ წარმატებებს.

თუ ავტობაზა მიგვიღებს სამუშაოდ, ჩამოვალთ თქვენთან. ველით პასუხს“. იწერებიან დაღისტნის ასსრ ქალაქ ბუინაკსკიდან ელექტრიკოსი ს. კადიევი, ავტოზეინკლები ს. სადიკოვი და ს. გაჯიევი.

საქართველოს რომელი რაიონიდან — წალენჯიხიდან, ბათუმიდან, ჩხოროწყუდან, ლენტეხიდან, ლენინგორიდან, ყვარლიდან, ახმეტიდან, საგარეჯოდან, ხობიდან, გალიდან. ზესტაფონიდან და სხვ. არ იყვნენ ქ. მახარაძეში ავტობაზის მუშაობის გასაცნობად. ეს ავტობაზა მოწინავე გამოცდილების ნამდვილი სკოლა გახდა. ანჟამად მახარაძეში იმყოფება მოლდავეთის სსრ ლიპკანის რაიონის მშრომელთა დელეგაცია მტს-ის დირექტორის ი. ბარაუნიკის მეთაურობით, რომელიც დაწვრილებით ეცნობა მახარაძის კოლმეურნეთა წამოწყებას.

საბჭოთა კავშირში პირველი საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის მაგალითზე უკვე შეიქმნა ასეთივე ავტობაზები ყვარლის, ბათუმის, ლენტეხის და ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა რაიონებში.

როგორც ყოველ ახალ საქმეს, მახარაძის საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზასაც თან ახლავს ზოგიერთი სიძნელე, ზოგჯერ აქ განიცდიან სათადარიგო ნაწილებისა და საბურავების ნაკლებობას, ავტობაზის ნორმალური მუშაობისათვის სჭირდებათ ერთი ავტოცისტერნი და ერთიც ექსკავატორი. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ზრდის სიძნელეებია.

ერთი რამ უკვე აშკარაა: მახარაძელმა კოლმეურნეებმა ახალი, პროგრესული საქმე გააკეთეს.

ბ. ზუკაკიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ამხანაგ პეტრუ გროზას დაკრძალვა

ბუქარესტი, 10 იანვარი. (საკდესი). დღეს რუმინელი ხალხი გამოეთხოვა თავის საყვარელ შვილს — დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დოქტორ პეტრუ გროზას.

დილაადრიან რესპუბლიკის სასახლეში მოვიდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეორგიუ-დეეი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი კივუ სტოიკა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრები, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები, რუმინეთის რელიგიური კულტების წარმომადგენლები, განსვენებულის ნათესავები და ახლობლები, აგრეთვე მთავრობათა დელეგაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ჩამოსული არიან პეტრუ გროზას დაკრძალვაზე, ბუქარესტში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

პეტრუ გროზას ცხედართან სპეციალურ ვახტზე უკანასკნელნი დგებიან რუმინეთის მუშათა პარტიისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები.

...9 საათი და 50 წუთია. ვასვენებულის კუბოსთან შესვლა წყდება. მიცვალებულს კუბო გამოასვენეს გ. გეორგიუ-დეემა, კივუ სტოიკამ, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა და დასვენეს პოსტამენტზე, რომელიც დადგმულია რესპუბლიკის მოედანზე ტრიბუნის წინ. ასრულებენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს. ბუქარესტში, მთელ რუმინეთში გაისმის ფაბრიკა-ქარხნების, ორთქლმავლების, გემების, შახტების საყვირთა ხმა. შეწყვეტილია მუშაობა, შეჩერებულია მოძრაობა. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა შრომელი პატივს სცემს დოქტორ პეტრუ გროზას ხსოვნას.

პარტიის ბუქარესტის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ფ. დენელაკემ გახსნა სამგლოვიარო მიტინგი. მან სიტყვა მისცა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ გ. გეორგიუ-დეეს.

ამხანაგებო და მეგობრებო! — თქვა გ. გეორგიუ-დეემ. ჩვენი ხალხი, რუმინეთის მუშათა პარტია და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით ეთხოვებიან თავიანთი ქვეყნის დიდ შვილს, ჩვენს ძვირფას მეგობარსა და ამხანაგს პეტრუ გროზას, სამშობლოს თავისუფლებისა და აყვავებისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლს, სოციალისტური რუმინეთის გამოჩენილ სახელმწიფო ხელმძღვანელსა და მშენებელს, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საქმისათვის ერთგულ მებრძოლს.

ჩვენი ხალხი, განაგრძო ორატორმა, განსაკუთრებით დიდად აფასებს თვალსაჩინო წვლილს, რაც პეტრუ გროზამ შეიტანა ჩვენი სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკის, მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განხორციელებაში, იმ სიმტკიცეს, რომლითაც იგი ყოველთვის იბრძოდა აგრესიული წრეების ავანტიურ გეგმების წინააღმდეგ, იმ ღონისძიებებს, რომლებსაც იგი ხმარობდა თანამშრომლობის განვითარებისათვის სახელმწიფოთა შორის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. ამით დოქტორმა პეტრუ გროზამ სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

პეტრუ გროზა რუმინელ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობის გულწრფელი და ერთგული შომხრე იყო, მტკიცედ და გაბედულად იბრძოდა იმისათვის, რომ სულ უფრო განვითარებულიყო ძმური ურთიერთობა და მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, სახალხო ჩინეთთან, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან. საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური ქვეყნების ბანაკის ერთიანობის განუხრელი განმტკიცება მას სამართლიანად მიაჩნდა მშვიდობის დაცვის უძლიერეს გარანტიად და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის ერთ-ერთ ყველაზე არსებით პირობად.

დასასრულ გ. გეორგიუ-დეემა თქვა: მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, ინტელიგენციის, რუმინელი ხალხისა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნებათა გულში სამუდამოდ დარჩება იმის ნათელი ხსოვნა, თუ ვინ იყო დოქტორი პეტრუ გროზა.

მისი ხსოვნისადმი პატივისცემის უძველესი გამოხატულებაა კიდევ უფრო ენერგიული მუშაობა მშრომელი ხალხის იმ საქმის გამარჯვებისათვის, რასაც ამხანაგმა პეტრუ გროზამ თავდადებით მოახმარა მთელი ძალები თავისი კეთილშობილური გულის უკანასკნელ ძგერამდე.

შემდეგ სიტყვა მიეცა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ფ. რ. კოზლოვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის დავალებით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ფ. რ. კოზლოვმა დიდი მწუხარება და სამძიმარი გამოთქვა რუმინელი ხალხის მძიმე დანაკარისო — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის, ამხანაგ პეტრუ გროზას გარდაცვალების გამო.

ამხანაგ პეტრუ გროზას სახით, თქვა ფ. რ. კოზლოვმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა დაკარგეს გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც ბევრი ძალა და ენერგია მოახმარა ახალი დემოკრატიული რუმინეთის მშენებლობას ჯერ როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ხოლო შემდეგ როგორც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ.

პეტრუ გროზა ჩვენს რიგებს გამოაკლდა მაშინ, როცა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ უკვე მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, თავისი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

ამხანაგი პეტრუ გროზა დაუღალავად შრომობდა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ.

ასეულ მილიონობით ადამიანი ყველა ქვეყანაში მას იცნობს როგორც მეზნებარე მებრძოლს მშვიდობისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

ამხანაგი პეტრუ გროზა საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი, საბჭოთა ხალხის მეგობარი იყო.

რუმინეთის განთავისუფლების შემდეგ ამხანაგმა პეტრუ გროზამ ბევრი რამ გააკეთა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისათვის, ჩვენს სახელმწიფოებს შორის ყოველმხრივი და ნაყოფიერი თანამშრომლობის მოგვარებისათვის.

დიდი მწუხარებით, თქვა დასასრულ ფ. რ. კოზლოვმა, ვეთხოვებით დღეს უკანასკნელად რუმინელი ხალხის სახელოვან შვილს პეტრუ გროზას, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის.

რუმინელ ხალხს შეუძლია სამართლიანად იამაყოს ისეთი გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწით, როგორიც იყო პეტრუ გროზა. მის ხსოვნას თქვენთან ერთად სამუდამოდ შეინახავენ საბჭოთა კავშირის ხალხები და მთელი პროგრესული კაცობრიობა.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე ჩინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაური გო მო-ჟო, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური იშტვან დობი, რუმინეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის წევრები იშტვან ნადი და ო. ზარონი.

პეტრუ გროზას ცხედარი დასვენეს საარტილერიო ლაფეტზე. სამგლოვიარო პროცესია გაემართა გენჩის სამხედრო სასაფლაოსაკენ. აქ პეტრუ გროზას საფლავზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა კივუ სტოიკამ.

კუბო პეტრუ გროზას ცხედრით ჩაუშვეს საფლავში. გაისმის საარტილერიო სალუტის ზალპები, ჟღერს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ინდოეთს ეწვევა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით 1955 წლის მაისში საბჭოთა კავშირში სტუმრად იყო ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია.

ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში კ. პ. მ. მენონმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დელეგაციას გადასცა ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის სპიკერისა და შტატების საბჭოს თავმჯდომარის გულითადი მიწვევა ესტუმროს ინდოეთის რესპუბლიკას 1958 წლის თებერვლის შუა რიცხვებში.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს მოსკოვში გადასცა სამახსოვრო ბარათი, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მადლობით იღებს ინდოეთის პარლამენტის მიწვევას გაგზავნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დელეგაცია. სამახსოვრო ბარათში აგრეთვე გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი ინდოეთში ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის პარლამენტებს შორის კონტაქტისა და ურთიერთგაგების შემდგომ განვითარებას ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ინტერესებისათვის და საყოველთაო მშვიდობის საქმეს.

დელეგაცია დელს გაემგზავრება 1958 წლის თებერვალში.

თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დელეგაცია

10 იანვარს თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დელეგაცია, რომელიც მოგზაურობს ჩვენს ქვეყანაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ამ საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარე დოქტორი კაზიმირ ვოიცეხოვსკი, საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ფელიქს პოპლავსკი, საზოგადოების ლოძის სავოევოდო განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი ისტორიის მაგისტრი ევენეფეფა ნეზაბიტოვსკაია.

აეროდრომზე დელეგაციას გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელნი.

ჩამოსვლის დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების პრეზიდიუმის წევრთა და აქტივის შეხვედრა პოლონეთის დელეგაციასთან. სტუმრებს გულითადად მიესალმა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ბოჟორიშვილი. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა დ. ენუქიძემ პოლონეთის საზოგადოების მოღვაწეებს გააცნო საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობა.

შეკრებილებმა ინტერესით მოისმინეს სტუმრების გამოსვლები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ.

საღამოს დელეგაცია ეწვია საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებას. (საქდესი).

საბჭოთა ადამიანებისათვის არ არსებობს უფრო საპატიო საქმე, ვიდრე თავდადებული შრომა საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ისინი ენერგიის დაუზოგავად, თავდადებით იღვწიან, რათა უფრო მეტი დოვლათი მისცენ საბჭოთა ხალხს, უფრო ლამაზი და ძლიერი გახადონ ჩვენი ქვეყანა. ასეთი ადამიანი — სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავე — ბევრია ახმეტის რაიონშიც. მათ პატივსაცემად ამას წინათ დაიდგა ლამაზი საპატიო დაფა, რომლის ავტორია მ. ბილანიშვილი. მშრომელები უდიდესი ინტერესით ათვალიერებენ ხოლმე საპატიო დაფას, რომელზეც აღბეჭდილია საუკეთესოთა შორის საუკეთესოების სახეები და სახელები.

ს უ რ ა თ ზ ე: საპატიო დაფასთან.

ფოტო მ. თელიაშვილისა.



9 იანვარს ზუსტად ნაშუადამევის 5 საათი იყო თბილისის დროით, როცა, როგორც იქნა, ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ხაზზეა პარიზი... ტელეფონთან არის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ილიკო სუხიშვილი.

თ ბ ი ლ ი ს ი: გამარჯობათ, ილიკო! გელაპარაკებათ თბილისი. ცოტა გვიან ხომ არ შეგაწუხეთ? მაგრამ უფრო ადრე არ მოხერხდა.

პ ა რ ი ზ ი: რასა ბრძანებთ! პარიზის დროით ახლა ძალიან გვიან როდია. ჩვენ არც ისე დიდი ხანია, რაც კონცერტიდან ოტელ „მოდერნში“ დავბრუნდით და არც კი დავწოლილვართ. მითხარით, თბილისში რა ამბებია, როგორი ამინდია?

თ ბ ი ლ ი ს ი: თბილისში საუცხოო ამინდია. და რაც მთავარია თბილისელები თქვენი კონცერტების წარმატების გამო გახარებულნი ვართ. ძალიან გვაინტერესებს თქვენი გასტროლების დაწვრილებითი ამბები.

პ ა რ ი ზ ი: მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ანსამბლი პირველად როდიაა უცხოეთში — ეს საზღვარგარეთ უკვე მეთორმეტე საგასტროლო მოგზაურობაა. მაგრამ მართალი გითხრათ, ასეთი წარმატება ჯერ არ გვასხოვს. თუმცა პარიზის საკონცერტო დარბაზ „ალჰამბრაში“ დღემდე უკვე 23 კონცერტი გავმართეთ, მაგრამ დარბაზი ყოველთვის მაყურებლებით არის გაჭედილი. ყოველ კონცერტს 2.500-მდე მაყურებელი ესწრება, ბილეთები უკვე დიდი ხნით ადრე გაიყიდა. ყოველ კონცერტზე მქუხარე ტაში გაისმის. მაყურებელთა თხოვნით ბევრ ცეკვას ანსამბლი ხელმეორედ ასრულებს, ხოლო „მხედრული“ დღეს სამჯერ გაგვამეორებინეს. გარდა ამისა, დღეკანდელი კონცერტი გადაცემულ იქნა პარიზის სატელევიზიო სადგურის მიერ.

ჩვენს წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პარიზის საზოგადოება „აჟანს ლიტერერ ე არტისტიკმა“ და საგასტროლო ბიერო „ლამბრიზომ“, რომელთა ინიციატივითაც ჩვენი ანსამბლი მიწვეული იყო პარიზში 18 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, გვთხოვეს იანვრის ბოლომდე გასტროლების ვადის გაგრძელება და საფრანგეთის სხვა ქალაქებშიც გამოსვლა. ჩვენ დავთანხმდით მათს თხოვნაზე: პარიზში გამოსვლებს დავამთავრებთ 15 იანვარს, ხოლო 20 იანვრიდან ვაპირებთ გამგზავრებას მარსელში, სადაც 6 კონცერტს გავმართავთ, შემდეგ ნიცაში გავმართავთ სამ კონცერტს, ლიონში — ოთხს, ტულონში — ორს და ავინიონში — ერთს. საფრანგეთის ამ ქალაქებში საგასტროლო ტურნეს დამთავრების შემდეგ საფრანგეთის დედაქალაქში დაბრუნდებით და კონცერტს გავმართავთ პარიზის უზარმაზარ ველოდრომზე.

თ ბ ი ლ ი ს ი: როგორ გრძნობენ თავს ანსამბლის კოლექტივის წევრები?

პ ა რ ი ზ ი: განა ამის კითხვა შეიძლება? — იცინის ტელეფონში ილიკო სუხიშვილი. — როგორ გრძნობენ და შესანიშნავად. ბიჭები ლომებივით არიან და ჩოხა-ახალუხით გამოწკეპილები, პარიზელ ქალიშვილებს ავტოგრაფებს უხვად ურიგებენ, ხოლო ჩვენმა მოცეკვავე ქალებმა, მას შემდეგ რაც ფრანგულმა გაზეთმა „ფიგარო ლიტერერმა“ მათ „სინატიფით და უბრალოებით აღსავსე მშვენიერი გრძელკაბიანი დედოფლები“ უწოდა, ცოტათი ცხვირი ასწიეს და მართლაც ულამაზესად წარმოიდგინეს თავი. სერიოზულად, ყველანი — ბიჭებიც და გოგოებიც კარგად მუშაობენ. ყველას შეგნებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რომ მათი წარმატება ქართული ხელოვნების წარმატებაა. გარდა ამისა, ჩვენი ანსამბლისათვის უაღრესად სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ჩვენი წარმატებების ამბავმა საფრანგეთის საზღვრებს გარეთაც გააღწია: ჩვენ მივიღეთ მრავალი მიწვევა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, არგენტინის, ბრაზილიის, ჩილის, ეგვიპტის, ტუნისის, მაროკოს საკონცერტო-საგასტროლო ფირმებისაგან და კერძო იმპრესარიოებისაგან — ხანგრძლივი ვადით კონტრაქტებზე ხელი მოვაწეროთ და საგასტროლო ტურნე გავმართოთ მათს ქვეყნებში. გარდა ამისა, ცნობილი ჰოლივუდელი კინორეჟისორი რატოვი (ავტორი-დამდგმელი საბჭოთა კინომაყურებლებისათვის ფართოდ ცნობილი ფილმებისა „ბალერინა“ და „სიმღერა რუსეთზე“ პოპულარული ამერიკელი „კინოვარსკვლავის“ რობერტ ტეილორის მონაწილეობით) იღებს ფილმ-კონცერტს ჩვენს ანსამბლზე. ქართული ცეკვის ანსამბლის ყოველი წევრი ამაყობს იმით, რომ იგი ემსახურება მშობლიური ხელოვნების კეთილშობილურ ინტერესებს, უცხოელ მაყურებლებში ჩვენი ეროვნული ქორეოგრაფიის მარგალიტების პოპულარიზაციის საპატიო საქმეს.

თ ბ ი ლ ი ს ი: გულწრფელად გილოცავთ დიდ წარმატებას. ნახვამდის, ამხანაგო ილიკო. გმადლობთ საუბრისათვის.

პ ა რ ი ზ ი: იცით რა, პარიზი ძლიერ მომხიბლავი, მიმზიდველია და ჩვენ ყველას შეგვიყვარდა იგი, მაგრამ დედასამშობლოს სიყვარული მაინც სულ სხვა ყოფილა. უკვე ძლიერ მოგვენატრა თბილისი და მოუთმენლად ველით, როდის დავბრუნდებით სამშობლოში. ნახვამდის!

სპორტის ამბები

ფეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში

ვენა, 7 იანვარი. (საკდესი). გუშინ ბიშოფსჰოფენში (ავსტრია) გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში.

გამარჯვება მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა გ. რეენგელმა. მეორე ადგილზეა გ. გლასი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). საბჭოთა სპორტსმენი კ. წაქაძე გამოვიდა მესამე ადგილზე.

საქართველოს მოჭიდავეთა გამარჯვება

რიგა, 10 იანვარი. (საქდესის სპეც. კორ.). რიგაში დადგენილ ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება ჭიდაობა სამბოში „დინამოს“ პირველობაზე. ასპარეზობა ოთხ დღეს გაგრძელდა. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს გარეუბნის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლემ ჩ. კუტლიაშვილმა (უმჩატესი წონა) და თბილისის მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. ნავროზაშვილმა (მჩატე წონა). სამმა ქართველმა მოჭიდავემ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა. ესენი არიან გ. ბესტავაშვილი, თ. თეთრაშვილი, ჯ. ოდიშვილი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საქართველოს ჭაბუკმა სპორტსმენებმა.

საჭადრაკო კონკურსის შედეგები

ცხაკაია. (საკ. კორ.). გასული წლის ბოლოს რაიონული გაზეთის „ავანგარდის“ რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი საჭადრაკო ეტიუდებისა და ამოცანების შედგენაში, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

შეჯამებულია კონკურსის შედეგები. ეტიუდებში კომისიამ პირველი ჯილდო მიანიჭა ჭადრაკის კომპოზიტორს გ. ნადარეიშვილს. მეორე და მესამე ჯილდოები გაინაწილეს ი. კრიხელმა (გორი) და ვ. ნეიძემ (თბილისი). ორ და სამსვლიანი ამოცანების შედგენაში პრიზები ხვდათ გ. კორძახიას და ა. მელაძეს (აბაშა), ი. კოტრიკაძეს (ქუთაისი), შ. კვარაცხელიას (დრანდა), ჯ. მახათაძეს (ზესტაფონი) და სხვ.

რედაქტორი პ. რატიანი.

ალგანეთი სოციალიზმის გზაზე

დღეს ალბანელი ხალხი აღნიშნავს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ თარიღს — ალბანეთის რესპუბლიკად გამოცხადების მე-12 წლისთავს.

თორმეტი წლის წინათ, 1946 წლის 11 იანვარს, ალბანელმა ხალხმა თავის ქვეყანაში მონარქია მოსპო და ალბანეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა. სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ ალბანეთის მშრომელებს გზა გაუხსნა ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. თორმეტი წლის განმავლობაში ალბანეთის მუშათა კლასმა გლეხობასთან მჭიდრო კავშირში ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით შეასრულა მიღწევები მოიპოვა ახალი ცხოვრების მშენებლობაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

სახალხო ხელისუფლების წლებში ალბანეთში აშენდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები, რომლებიც წინათ იქ არ იყო. სწრაფი ტემპებით ვითარდება მრეწველობა. საერთო სამრეწველო პროდუქცია 1957 წელს გაიზარდა 14-ჯერ ომამდელთან შედარებით. ხოლო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება — 14,3-ჯერ. აშენდა ახალი საფეიქრო, ფეხსაცმლის, საკონსერვო, თამბაქოს ფაბრიკები და მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვა საწარმოები. ახალი საწარმოები, როგორც ალბანეთის გაზეთი „ბაშკიმი“ იტყობინება, ამყარად აწარმოებენ 30-ჯერ მეტ სამრეწველო საქონელს და 8-ჯერ მეტ სასურსათო საქონელს, ვიდრე ალბანეთის მსუბუქი და კვების მრეწველობის ყველა საწარმო 1938 წელს იძლეოდა.

სახე იცვალა ალბანეთის სოფელმა. ათეულ ათასობით მშრომელი გლეხი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში შევიდა. ამჟამად რესპუბლიკაში 1.600-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია. 1938 წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება 2,5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო ტექნიკური კულტურებისა 6-ჯერ და უფრო მეტად.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის შედეგად ყოველდღიურად მაღლდება ალბანელის მშრომელთა ცხოვრების დონე. 1957 წელს რესპუბლიკის მოსახლეობას 27 პროცენტით მეტი საქონელი მიეყიდა, ვიდრე 1956 წელს.

ალბანელის მცხოვრებმა 80 პროცენტმა წერა-კითხვა არ იცოდა. ამჟამად 40 წლის ასაკამდე მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობა მთლიანად ლიკვიდირებულია. ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელ ზრდაზე მეტყველებს ის, რომ დღითიდღე ფართოვდება კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სასწავლებლების ქსელი. 1957 წელს ალბანეთის სკოლებში 217 ათასზე მეტი მოსწავლე იყო, ე. ი. 4-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდე.

თავის ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ალბანელი ხალხი ეყრდნობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძმურ დახმარებას. იგი დაუღალავად განმტკიცებს მეგობრობას მოძმე ქვეყნების ხალხებთან.



ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში დასასრულს უახლოვდება ენვერ ხოჯას სახელობის ჰიდროსადგურის წყალსაშვებ ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოები მდინარე მატზე. მიმდინარე წლის შუახანებში ელექტროსადგური მოქმედი საწარმოების მწყობრში ჩადგება. მშენებლობის დამთავრების შემდეგ სადგურის სიმძლავრე 20.000 კილოვატს მიაღწევს.

ს უ რ ა თ ზ ე: კაშხალის მშენებლობის საერთო ხედი.

ფოტო ალბანეთის დეპეშათა სააგენტოსი.

ბიბლიოგრაფია

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ზეკავი (დილას), გლახის ნაამბობი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ესკადრის დაღუპვა, **გრიბოედოვის სახელობის** — ქარიშხლიანი წელი, **სომხური დრამის** — ლიუსი ლასინიანი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბაში-აჩუკი (აბონემენტი № 30, 7 ს.), **თოჯინების ქართული** დიდი ივანე (11 ს.), **ფილარმონია** — მარინე იაშვილის კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვისა და ჭავჭავაძის სახელობის კლუბები, ყაზბეგი — კაპიტანი კელნდან, **ამირანი** — პარტიზანული ნაპერწკალი, **სპარტაკი** — მერი პოპფორდის კოცნა, **თბილისი** — გაცრუებული ოცნებები, **კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი, კულტურის ცენტრალური სახლი** — განგაში მთებში, 26 **კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე, კომუნარების ბაღი** — ღამის დარაჯი, 26 **კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — გზა ვარსკვლავებისაკენ, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** — სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — ავიცენა, **კოლმეურნე** — საბუდარელი ჭაბუკი, **საოპერო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — დები.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 21 იანვარს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ნატალია ვალერიანის ასული როსტომბეკოვა — თემაზე: „Значение санитарного состояния внешней среды в распространении некоторых кишечных инфекций“.

მერი სიმონის ასული ჯუღელი — თემაზე: „მინერალური წყლის ძაუს კუჯის ზოგიერთ ფუნქციაზე მოქმედების საკითხისათვის“.

ა. წ. 28 იანვარს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ნინო ალექსანდრეს ასული სავანელი — თემაზე: „მასალები ჰიპოქონდრული სინდრომის პათონეიროდინამიკის საკითხისათვის შიზოფრენიის და ნევროზის დროს“.

ომარ ალექსის-ძე ჭანტურაია — თემაზე: „ელევრის შიდა შენაზარდების სხვადასხვა მეთოდებით გათიშვის საკითხისათვის“.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1)

1958 წ. 24 იანვარს, დღის 12 საათზე, საალტო დარბაზში, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ლეონიდე ერემიას-ძე გორგილაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში (1893-1903 წწ.)“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მიიღება ხელმოწერა 1958 წლისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მოამბეზე“ და მის პარალელურ რუსულ გამოცემაზე „Сообщения“-ზე ჟურნალი წელიწადში გამოდის 12 ნომერი ორ ტომად, თვითეული 8 თაბახის მოცულობით. მასში იბეჭდება ყველაზე მნიშვნელოვან გამოკვლევათა შედეგები მეცნიერების ყველა დარგიდან.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში და რწმუნებულებთან (ჟურნალი წლიურად ღირს 60 მანეთი).

„სოიუზპეჩატი“

მოქალაქე დაშა გიორგის ასულმა ბალავაძემ, მცხოვრებმა ბაზრის ქ. № 5, აღძრა სარჩელი იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მურაზ პეტრეს-ძე ბალავაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ციალა ერმილეს ასულმა მაღრაძე-აბაშიძემ, მცხოვრებმა სურამის ქ. № 3, აღძრა საქმე თარხნიშვილის ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე **ანდრო ბესარიონის-ძე აბაშიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე რევა მოშეს ასულმა აივაზაშვილმა, მცხოვრებმა ავლევის ქ. № 12, აღძრა საქმე ახოსპირელის ქ. № 2 მცხოვრებ მოქალაქე **დავით ილიას-ძე გორელაშვილთან** განქორწინების შესახებ, საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლო.

საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების რაიასპკომის აღმასკომის სამშენებლო კანტორის თანამშრომლები აუწყებიან

თამარ სერგოს ასულ ნიკოგოსოვას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-I, 8 ს. გამოსვენება 12-I, 3 ს. პლეხანოვის პროსპ. № 38/5.

მშობლები სოფიო, ნიკოლოზ, მეუღლე ეთერ, შვილები ანა, ნანული დაუშვილები, და ეთერ, სიძე ი. ბეთანელი აუწყებიან

გივი ნიკოლოზის-ძე დაუშვილას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-I, 8 ს. გამოსვენება 12-I, 2 ს. საბჭოს ქ. № 60.

დედა თებ